საიდ. N 77989/03

IR 1208710

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №139-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე, ი. გიქორაშვლი, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ასსა აბლოი ენტრანს სისტემს აბ“ (ASSA ABLOY Entrance Systems AB) N139-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 3 აგვისტოს N2434/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Crawford ASSA ABLOY“ (საიდ. 77989/03, IR

1208710) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-6 და მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშანისთვის დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-6 და მე-9 კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 3 აგვისტოს N2434/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „Crawford ASSA ABLOY“ (საიდ. 77989/03 IR 1208710) ექვემდებარება ნაწილობრივ დაცვას, ვინაიდან მსგავსია კომპანიის „ასსა აბლოი ბრენდინგ ს.ა.რ.ლ“ (ASSA ABLOY Branding S.a.r.l.) (მის.: 11-13, ბლდ დე ლა ფიორე, L- 1528 ლუქსემბურგი; 11-13, Bld de la Foire, L-1528 Luxembourg) სახელზე მე-6 და მე-9 კლასებში მადრიდის შეთანხმების ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „ASSA ABLOY“ (IR 807285, რეგ. და გავრცელების თარიღი: 08/07/2003). დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით. ნიშნებში შემავალი საერთო სიტყვათა კომბინაცია „ASSA ABLOY“ ფონეტიკურად და ვიზუალურად აღრევამდე მსგავსია. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შეიცავს განსხვავებულ ასოთა კომბინაციას „Crawford“, მაგრამ საერთო სიტყვიერი ელემენტი „ASSA ABLOY“ განცხადებულ სასაქონლო ნიშანში წარმოადგენს დომინანტ ელემენტს, მისი მოცულობიდან და პოზიციური განლაგებიდან გამომდინარე. შესაბამისად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანში დამატებითი ელემენტის „Crawford“ არსებობა ნიშანს ვერ ანიჭებს საკმარის

განმასხვავებლობას. რაც შეეხება საქონლის ჩამონათვალს, ორივე სასაქონლო ნიშანი განცხადებულია მე-6 და მე-9 კლასების მსგავსი საქონლის ჩამონათვალის მიმართ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იქმნება ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, განცხადებუ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მე-6 და მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ასსა აბლოი ენტრანს სისტემს აბ“ (ASSA ABLOY Entrance Systems AB) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნის ერთადერთი დანიშნულებაა, რომ მომხმარებელმა შეძლოს ერთი საწარმოს საქონლის ან/და მომსახურების განსხვავება მეორე საწარმოს საქონლის ან/და მომსახურებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსების საკითხის განსაზღვრა ხშირ შენთხვევაში სუბიექტურია, ნიშნები განსხვავებულია, რაც გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აპელანტის მითითებით, კომპანია „ასსა აბლოი ენტრანს სისტემს აბ“ (ASSA ABLOY Entrance Systems AB) და კომპანია „ასსა აბლოი ბრენდინგ ს.ა.რ.ლ“ (ASSA ABLOY Branding S.a.r.l.) შედიან კომპანიათა ერთ ჯგუფში, რაც გამორიცხავს მწარმოებელი კომპანიის მიმართ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 3 აგვისტოს N2434/03 ბრძანება იმ

ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Crawford ASSA ABLOY“ (საიდ. 77989/036, IR 1208710) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-6 და მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშანისთვის დაცვის მინიჭებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. № 139-03/15) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

აპელანტმა სააპელაციო პალატის სხდომაზე წარმოადგინა კომპანიის „ასსა აბლოი ბრენდინგ ს.ა.რ.ლ“ (ASSA ABLOY Branding S.a.r.l.) მიერ გაცემული აფიდავიტი და თანხმობის წერილი. წარმოდგენილი აფიდავიტის მიხედვით, კომპანია „ასსა აბლოი ენტრანს სისტემს აბ“ (ASSA ABLOY Entrance Systems AB) და კომპანია „ასსა აბლოი ბრენდინგ ს.ა.რ.ლ“ (ASSA ABLOY Branding S.a.r.l.) არიან „ASSA ABLOY“ ჯგუფის წევრები. აპელანტის მიერ წარმოდგენილი თანხმობის წერილის თანახმად, კომპანია „ასსა აბლოი ბრენდინგ ს.ა.რ.ლ“ (ASSA ABLOY Branding S.a.r.l.) თანხმობას აცხადებს სასაქონლო ნიშნის „Crawford ASSA ABLOY“ (საიდ. 77989/03 IR 1208710) დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში კომპანიის „ასსა აბლოი ენტრანს სისტემს აბ“ (ASSA ABLOY Entrance Systems AB) სახელზე, საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახე“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Crawford ASSA ABLOY“ (საიდ. 77989/03, IR 1208710) მე-6 და მე-9 კლასების მიმართ დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ასსა აბლოი ენტრანს სისტემს აბ“ (ASSA ABLOY Entrance Systems AB) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №139-03/14) დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 3 აგვისტოს N2434/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-6 და მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Crawford ASSA ABLOY“ (საიდ. 77989/03, IR 1208710) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ი. გიქორაშვილი

ს. ებრალიძე